ჩემპიონატი

თბილისის “დინამოს” გამარჯვება

ლენინგრადი, 21 ივლისი. დღეს ლენინის სახ. სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი **“ზენიტი” და თბილისის “დინამო”.**

თამაშის პირველი ტაიმი დამთავრდა 2:2.

მეორე ტაიმში თბილისელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და შეძლეს დამატებით ორი ბურთის გატანა. თამაშის დამთავრებამდის ერთ წუთიღა იყო დარჩენილი. არავინ არ მოელოდა ამ შედეგის შეცვლას, მაგრამ მეკარემ კარი ღია დატოვა. ლენინგრადელებმა ისარგებლეს ამით და თავისუფალ კარში მესამე ბურთი გაიტანეს.

მატჩი მოიგო “დინამომ” – 4:3.

გოლდშტეინი, თბილისის “დინამოს” გუნდის უფროსი.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 23 ივლისი, 1940 წ.